

78. Притула 2013 - Притула А. Д. Восточносирийский гимнографический сборник *Вардā (XII-XVI вв.)*. Исследование, публикация текстов (в печати).
79. Рашид ад-Дин 1952 - Рашид ад-Дин. Сборник летописей. Т. 1, часть 2. Москва, Ленинград, 1952.
80. Сабинин 1873 - Сабинин М. Полное жизнеописание святых Грузинской Церкви. С-Пб., 1873. Т. 3. С. 141.
81. Селезнев 2001 – Селезнев Н.Н. Ассирийская Церковь Востока. Исторический очерк. М., 2001.
82. Тизенгаузен 1884 - Тизенгаузен В. Сборника материалов, относящихся к Золотой Орде. Т. 1. Извлечения из сочинений арабских. С-Петербург, 1884. С. 15.
83. Толстолуженко 2009 – Толстолуженко М. «Книга сокровищ» Иакова бар Шаққō: богословская компиляция эпохи Сирийского Ренессанса / Символ, № 55 (2009). С. 357-374.

ჰიმნი თბილისის აღების შესახებ ვარდას კრებულიდან

ანტონ პრიტულა

ერმიტაჟის აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილება, ახლოაღმოსავლეთისა და ბიზანტიური სექციის ხელმძღვანელი. ფილოლოგიის დოქტორი, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტი.

1. ვარდა, სირიის რენესანსის პერიოდის ჰიმნების კრებული. ვარდას კრებულს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აღმოსავლეთის (ე. წ. ნესტორიანული) ეკლესიის ლიტურგიკაში. ჰიმნების სახელწოდებები გვამღევეს იმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ ვარდა გივარგის ვარდასი, რომელსაც ჰიმნების უმრავლესობის ავტორობა მიეწერება, კრებულის შედგენაში მონაწილეობდა XII-XVI საუკუნეებში მოღვაწე არაერთი მწერალი. ამასთან, კრებული განკუთვნილია რელიგიური დღესასწაულების დროს ღამის განმავლობაში შესასრულებელი და მთელი ლიტურგიული წლის განმავლობაში კვირაობით ღვთისმსახურების აღსრულებისათვის. ამ ორი თავისებურების გამო ვარდას კრებული აღმოსავლეთ სირიული ლიტურგიული პოეზიის უმთავრეს ძეგლად მიიჩნევა. მისი მრავალრიცხოვანი ასლები გვხვდება მთელს მსოფლიოში დაცულ სხვადასხვა კრებულებში. ვარდას კრებულში შემავალი სტროფული ჰიმნები ონიტა (მრ. რიცხვში ონიატა) ჯერაც წარმოადგენს აღმოსავლეთ სირიის ეკლესიის ლიტურგიის განუყოფელ ნაწილს. მთლიანობაში კრებულში სულ ას ოცი ჰიმნია შესული. მათი უმრავლესობის შექმნა მიეწერება გივარგის ვარდას, რომლის სახელსაც ატარებს

კრებული. ჰიმნების შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლოა კრებულში განვასხვაოთ შემდეგი ტიპის ჰიმნები: ეგზეგეტიკური, ჰაგიოგრაფიული; არაკანონიკური სიუჟეტები; ჰიმნები, რომლებშიც აღწერილი სხვადასხვა ისტორიული მოვლენები თუ განსაცდელნი; ასევე ჰიმნები, რომლებშიც აღწერილია ადამიანური სინანული და სხვ. ჩვენამდე მოღწეულია ვარდას კრებულისრამდენიმე ათეული ხელნაწერი, რომელთაგან ზოგი სრულ რედაქციას წარმოადგენს და ზოგი - არასრულს.¹

ჰიმნოგრაფის ცხოვრების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. თუმცა, ტრადიციის თანახმად მიიჩნევა, რომ იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XIII საუკუნის პირველ ნახევარში, ვინაიდან იმ ჰიმნებში, რომელთა ავტორად ვარდა მიიჩნევა, 1220-1230-იანი წლების ტრაგიკული მოვლენებია აღწერილი. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერაც არაა ზუსტად დადგენილი ჰიმნების ავტორობის საკითხი. შესაბამისად, არაა გამორიცხული, რომ ზოგი მათგანი მოგვიანებით შეეტანათ კრებულში.

კრებულში შემავალი ჰიმნების უმრავლესობა გართიმულია და განეკუთვნება სირიული პოეზიის განვითარების იმ ფაზას, როდესაც უკვე ადგილი ჰქონდა იყო სირიული და მაჰმადიანური (კერძოდ, არაბულ და სპარსულ) პოეზიის ურთიერთგავლენას. პერიოდს, როდესაც სირიული ლიტერატურა ფაქტობრივად ხელმეორედ იშვა, ბოლო ხანებში *სირიულ რენესანსს* უწოდებენ. ეს ტერმინი, რომელიც პირველად ანტონ ბისმარკმა გამოიყენა, თავიდანმხოლოდ XII-XIII საუკუნეებს მოიცავდა.² გარდა ამისა, ტერმინი ძირითადად დასავლურ სირიული ლიტერატურის აღსანიშნად გამოიყენებოდა.³ მოგვიანებით კი ცნების მნიშვნელობა გაფართოვდა და მოიცვა როგორც აღმოსავლეთ სირიელი ავტორები, ასევე ქრონოლოგიურად უფრო ხანგრძლივი პერიოდი. ჰერმან ტელეს პერიოდიზაციის მიხედვით, სირიული რენესანსი იწყება ელია ნისიბელის (975-1046) და მთვრდება გამოჩენილი აღმოსავლეთ სირიული ენციკლოპედისტის აბდისო ბარ ბრიკას (გარდაიცვალა 1318 წელს) შემოქმედებით.⁴ ტელეს მიერ დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას იყენებენ თავიანთ გამოცემებშიასევე ახალი თაობის მკვლევარებიც.⁵ ხსენებული პერიოდის ქრისტიანულ სირიული კულტურაში წარმოდგენილი ჟანრებისყველაზე გამოწვლილვითი ანალიზი წარმოდგენილია ტელეს რედაქტორობით ბოლო ხანებში გამოცემულ მონოგრაფიაში “The Syriac

¹ ხელნაწერთა დეტალური კლასიფიკაციისათვის, ასევე მათი შინაარსის ანალიზისათვის იხ. Pritula 2013/1. ყოველივე ეს ასევე განხილული იქნება კრიტიკულ გამოცემაშიც, რომელიც უახლოეს მომავალში გამოიცემა: Pritula 2013/2 (ინგლისურენოვანი ვერსია); Притула 2013 (რუსულენოვანი ვერსია).

² Baumstark 1922. გვ. 285, 286.

³ Kawerau 1955, 1960; Leroy 1971.

⁴Teule 2002. P. 176; Teule 2010.გვ. 5.

⁵იხ. მაგ: Кессель 2010. გვ. 271; Толстолуженко 2009.გვ. 357-358.

Renaissance” (“სირიული რენესანსი”).¹ წიგნში ასევე შესულია ამ პერიოდის პოეზიის შესახებ სტატიებიც.²

მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობისდა მიუხედავად, შესაძლოა გამოვყოთ ამ პერიოდის მთავარი მახასიათებლები: ენციკლოპედიური, ეკლექტიკური ხასიათი; არაბული ლიტერატურის გავლენა ფორმის თვალსაზრისით. ჰერმან ტელეს აზრით, არაბული ენა ბევრად უფრო დიდ როლს ასრულებდა აღმოსავლურ სირიულ ლიტერატურაში, ვიდრე დასავლურ სირიულში.³ მკვლევარი ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ ახალი წელთაღიგებვის 1258 წლამდე აღმოსავლეთის ეკლესიის კათალიკოსის რეზიდენცია ხალიფატის დედაქალაქ ბაღდადშიმდებარეობდა. ტელე იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ არაბული გავლენა დასავლურ სირიულ ტრადიციაზე უფრო შესამჩნევი იყო აღმოსავლურ ეპარქიებში, ვიდრე დასავლურში (სირიაში). ამიტომაცაა, რომ აღმოსავლეთ სირიელი ავტორები უფრო ხშირად წერდნენ არაბულ ენაზე.⁴

მიუხედავად სამხედრო თავდასხმებისა, უპირველეს ყოვლისა კი მონღოლთა შემოსევებისა, XIII და ადრეულ XIV საუკუნეებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ ისეთი შესანიშნავი პოეტები, როგორებიც არიან იოჰანან ბარ ზობი, იოჰანან მოსულელი, ჰამიშ ბარ ქარდაჰე, გაბრიელ მოსულელი, აბდისო ბარ ბრიკა. ამ პერიოდში, სავარაუდოდ არაბული პოეზიის გავლენით, გაფართოვდა სირიული პოეზიის გამოყენების არეალი. არაერთმა პოეტმა დაიწყო საღმრთო სჯულის განმარტებების, თეოლოგიური ტრაქტატების თუ გრამატიკის წერა ლექსის ფორმით.

ხსენებული პერიოდის ჰიმნოგრაფთა შორის ყველაზე ცნობილი არიან გივარგის ვარდა და ჰამის ბარ ქარდაჰე. ამ ხანებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საეკლესიო ავტორთა მიერ დაწერილ ჰიმნოგრაფიულ ნაწარმოებებს. ვარდას კრებული ამ ჟანრის შესასწავლად უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. პატრიარქ იაჰბალაჰა II-ს მიერ შედგენილი ჰიმნების კრებულის წყალობით, ჩვენამდე მოაღწია ისეთი ცნობილი საეკლესიო ავტორების შემოქმედებამ, როგორებიც არიან შლემონ ბასრელი, ჰაკიმ ბეთ ქაშმელი, მარი ბარ მშიჰაიე, საბრისო ბარ პაულოს მოსულელი.

2. ვარდას კრებულისეული ჰიმნების გამოქვეყნება. კრებულში შეტანილი ჰიმნების გამოქვეყნება ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო. ორი ჰიმნი შესულია გაბრიელ კარდაჰის მიერ შედგენილ სირიული პოეზიის კრებულში:⁵ ღვთისმშობელი

¹Syriac Renaissance 2010.

² Reinink 2010; Tamcke 2010; Teule 2010; Taylor 2010; Younansardaroud 2010. 37,49,51,50

³ Teule 2010. გვ. 9-11.

⁴იქვე. გვ. 6-8, 10.

⁵ Cardahi 1875. გვ. 51-53.

ღვთისმშობელი მარიამისადმი მიძღვნილი ჰიმნი¹ სრულად, ხოლო მეორე ჰიმნი კი – ნაწყვეტის სახით. ჟაკ ეუჟენ მანას ანთოლოგიაში ასევე შეტანილია ორი ჰიმნი, რომელთა ავტორობაც გივარგის ვარდასმიწერება.² ესენია: ღვთისმშობელი მარიამისადმი მიძღვნილი ჰიმნი, შობისადმი მიძღვნილი ჰიმნი, ასევე ჰიმნი ადამიანის, როგორც მიკროკოსმოსის შესახებ. უკანასკნელი მათგანი გამოაქვეყნა ფილიპ გინუქსმა და თან ფრანგული თარგმანი დაურთო.³

ვარდას ჰიმნის ინგლისურენოვანი თარგმანი შესულია ჯონ ბედჯერის ცნობილ წიგნშიც. ესაა ჰიმნი ღვთისმშობელი ქალწულისადმი.⁴ შობისადმი მიძღვნილი ჰიმნის გერმანულენოვანი თარგმანი, სხვა ავტორთა ჰიმნებთან ერთად, ბერნარდ ვანდენჰოფმა გამოაქვეყნა თავის წიგნში “Book of Childhood”.⁵ ისააკ ფოლკმენის წიგნში, რომელიც შესულია წმინდა გიორგის შესახებ სირიული ჰიმნები, ვარდას კოლექციიდან ორი ჰიმნია წარმოდგენილი.⁶

აღდარ დოიჩის დისერტაცია შეიცავს ვარდას კრებულიდან სამ ჰიმნს მათი გერმანულენოვანი თარგმანებითურთ.⁷ პირველ მათგანში აღწერილია სოფელ კარმელას (კარმლიშის) აღება მონღოლთა მიერ 1235 წელს⁸; დანარჩენი ორი კი ეძღვნება იონა წინასწარმეტყველს⁹ და განკუთვნილია დიდმარხვის წინა სამი დღის განმავლობაში წინევიელთა ღვთისმსახურებისათვის. ჰიმნების უმნიშვნელოვანეს გამოცემად ჯერაც რჩებაჰეინრიხ ჰილგენფელდის გამოცემა, რომელშიც შესულია ცხრა ჰიმნის ორიგინალური სირიულ ტექსტი და მათ თარგმანები¹⁰. წიგნში შესულ ჰიმნთაგან ოთხი ასახავს შიმშილობასა და სხვა სახის განსაცდელს¹¹. მათ შორის ერთ-ერთში, რომელიც მანამდე აღდარ დოიჩმა გამოსცა¹², სოფელ კარმელას (კარმლიშის) დაპყრობაა აღწერილი. გარდა ამისა, წიგნში შესულია შემდეგი ჰიმნები: ჰიმნი, რომელშიც განკიცხულია მაჰმადიანობაზე მოქცეული დიაკონი,¹³ იოანე

¹ აქედან მოყოლებული, ფრჩხილებში მოცემული იქნება ჰიმნის ნომერები ჩვენ მიერ შედგენილი ცხრილის მიხედვით (იხ. ქვემოთ, 1.6). იმ შემთხვევაში, თუ ჰიმნი გამოქვეყნებულია მოცემულ გამოცემაში, ნომერი მუქი შრიფტით იქნება დაბეჭდილი.

² Manna 1901. ტ. 2, გვ. 295-322.

³ Gignoux 1999. გვ. 95-189.

⁴ Badger 1852. გვ. 51-57.

⁵ Vandenhoff 1908. გვ.395-405.

⁶ Folkmann 1896. გვ. 34-50.

⁷ Deutsch 1895.

⁸ იქვე. გვ. 15-22.

⁹ იქვე. გვ. 22-29.

¹⁰ Hilgenfeld 1904.

¹¹ იქვე. გვ. 23-49.

¹² Deutsch 1895. გვ. 15-22.

¹³ Hilgenfeld 1904. გვ. 60-65.

ნათლისმცემლისადმი მიძღვნილი ჰიმნები¹, ტაჰმაზგერდ წამებულისადმი² და იაკობ იაკობ ბეთ-ლაპატელისადმი მიძღვნილი ჰიმნები³. ხსენებული გამოცემა მკაცრად გააკრიტიკა თავის რეცენზიაში ანტონ ბისმარკმა, ⁴ ვინაიდან ჰილგენფელდის გამოცემაში შესული იყო მთელი კრებულის 0,1 პროცენტზე ნაკლები და, ამასთან, გამოცემა მხოლოდ და მხოლოდ ბერლინისა და ვატიკანის ხელნაწერებს ეფუძნებოდა.

მესამედ ჰიმნი სოფელ კარლმლიშის ალების შესახებ გამოაქვეყნა იტალიელმა სირიოლოგმა პიერ ჯორჯო ბორბონემ იტალიურ თარგმანსა და ისტორიულ ნარკვევთან ერთად .⁵

პირადად მე გამოვაქვეყნე ვარდას კოლექციაში შემავალი რამდენიმე ჰიმნი. საკუთრივ, ექვსი მათგანის ორიგინალური ტექსტი გამოვეცი რუსულენოვან თარგმანებთან ერთად.⁶ მათ შორისაა ორი იონასადმი მიძღვნილი ჰიმნი, რომლებიც მანამდე ალდარ დოიჩმა გამოაქვეყნა, ⁷ ორი ჰიმნი შიმშილობისა და სხვა განსაცდელთა შესახებ, რომლებიც ჰეინრიჰ ჰილგენფელდმა გამოსცა,⁸ ასევე ორი ჰიმნი, რომლებიც პირველად ჩემს მონოგრაფიაში გამოქვეყნდა: ჰიმნები ჯვარცმისა⁹ და ნოეს¹⁰ შესახებ. ცალკე გამოვეცი დიდმარხვის წინა ოთხშაბათს წასაკითხი ჰიმნი¹¹ და ასევე ჰიმნები, რომლებიც დიდმარხვის წინა სამი დღის განმავლობაში აღსასრულებელი ღვთისმსახურებისას იკითხება, კერძოდ ჰიმნები სამარესთან,¹² და ადამიანთა საზოგადოებრივი უთანასწორობის შესახებ.¹³ გარდა ამისა, გამოვეცი ოთხი ჰიმნის ორიგინალური ტექსტი ინგლისურენოვან თარგმანებთან ერთად. ესენია ქრისტესშობისადმი მიძღვნილი ჰიმნი, რომელიც ემყარება აპოკრიფულ წიგნს “Book of the Childhood”¹⁴ რომელიც მანამდე ბერნარდ ვანდენჰოფმა გამოსცა,¹⁵ დიდმარხვის წინა სამ დღეს შესასრულებელი ჰიმნი სახელწოდებით “მის შესახებ”,

¹იქვე. გვ. 65-74.

²იქვეგვ. 74-80.

³იქვე. გვ. 80-86.

⁴ Baumstark 1904.

⁵ Borbone 2010.

⁶Притула 2009/2. გვ. 152-253.

⁷იქვე.გვ. 166-192.

⁸იქვე.გვ. 193-224.

⁹იქვე.გვ. 225-237.

¹⁰იქვე.გვ. 138-153.

¹¹Притула2006. გვ. 147-159.

¹²Притула 2007. გვ. 93-102.

¹³Притула 2009/1. გვ. 167-178.

¹⁴Pritula 2005. გვ. 145-176; იხ.ასევე: Притула 2010.

¹⁵Vandenhoff 1908.

¹ ჰიმნი თბილისის აღების შესახებ, რომელიც პირველად მე ვთარგმნე (ქვემოთ წარმოდგენილი იქნება ქართულენოვან თარგმანთან ერთად),² და დიდმარხვის წინა ოთხშაბათს შესასრულებელი ჰიმნი, რომელიც მანამდე რუსულენოვან თარგმანთან ერთად მქონდა გამოქვეყნებული.³

ვარდას მიაწერენ იმ ჰიმნების ავტორობასაც, რომლებიც აღმოსავლეთის ეკლესიის ლიტურგიკულ ბეჭდურ გამოცემებშია წარმოდგენილი, უპირველეს ყოვლისა კი წიგნ Hūdā⁴-ში და ამავე წიგნის გამომცემლობა ურმიას მიერ მეცხრამეტე მეცხრამეტე საუკუნეში დაბეჭდილ ვერსიაში, რომელიც ნინევიელთა მიერ დიდმარხვის წინა სამი დღის განმავლობაში აღსასრულებელი ღვთისმსახურებისაგან შედგება.⁵

3. ვარდას ჰიმნების კრებულის შესწავლა. ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა მონოგრაფია, რომელიც გივარგის ვარდას ნაშრომებს შეისწავლის. ჰეინრიხ ჰილგენფელდის გამოცემის შესავალი სტატია ჯერაც რჩება ერთადერთ ნაშრომად, რომელშიც ვარდას ჰიმნების პოეტურ თვისებურებანია ნაკვლევია.⁶ ხსენებულ ნაშრომში მკვლევარი აღწერს ჰიმნოგრაფის ბიოგრაფიას,⁷ მისი ჰიმნების მეტრს და აანალიზებს გამოცემაში გამოქვეყნებულ ნაშრომებს.⁸

ზოგიერთი იმ ჰიმნის შინაარსი, რომელთა ავტორობაც გიორგი ვარდას მიეწერება, ნახსენებია დევიდ ბანდის სტატიაში. ჰიმნების შინაარსიდან გამომდინარე მკვლევარს გამოაქვს დასკვნები ვარდას ფილოსოფიური შეხედულებების შესახებ.⁹ ამასთან, ბანდი, ჰიმნების ტექსტური თუ ლიტერატურულ-კრიტიკული შეფასების გარეშე, ამტკიცებს, რომ კრებულში შეტანილი ყოველი ჰიმნის ავტორი ვარდაა. არ ითვალისწინებს იმასაც, რომ, მაგ. ყველაზე პოპულარული “მსოფლმხედველობრივი” ჰიმნი - კარმლიშის აღების შესახებ ვარდას კრებულის არც ერთ ვერსიაში არაა წარმოდგენილი, გარდა ბერლინში დაცულ და ახალი წელთაღრიცხვის 1715 წლით დათარიღებულ ხელნაწერში Ms. orient. fol. 619.

გივარგის ვარდას ნაშრომებს შეეხება მარტინ ტამკეს ზოგიერთი სტატიაც.¹⁰ ორ მათგანში ნახსენებია აღმოსავლეთის ეკლესიის პატრიარქების შესახებ ჰიმნები: ამ

¹Pritula 2004. გვ. 229-243.

² Pritula 2012/1.

³ Pritula 2012/2.

⁴ Khudra 1960

⁵Rogation of Ninevites 1896.

⁶ Hilgenfeld 1904. S. 1-22.

⁷იქვე. გვ. 1-4.

⁸იქვე. გვ. 14-21.

⁹იხ.მაგ. Bundy 1993. გვ. 7-20.

¹⁰Tamcke 2004; Tamcke 2005; Tamcke 2006; Tamcke 2008/1, Tamcke 2008/2, Tamcke 2010.

სტატიათაგან პირველში ავტორი წარმოგვიდგენს ვარდას ნაშრომების ამ დრომდე ყველაზე დეტალურ ბიბლიოგრაფიას. ამასთან, ანალიზებს იმას, თუ რამდენადაა ჰიმნებში რეალური ისტორიული მოვლენებისასახული¹. მეორე სტატიაში კი ტამკე აღწერს, თუ როგორაა ამავე ჰიმნში წარმოდგენილი ისლამურ ეპოქასთან და ზოგადად ისლამთან თანაარსებობა.² იმოწმებს რა თეოდორ ნელდეკეს, ტემკე ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ვარდას მიერ ჰიმნების ავტორობას და განიხილავს იმის შესაძლებლობას, რომ შესაძლოა ისინი კრებულში მოგვიანებით შეეტანათ.³

4. 'Ōnītās და ისტორიული მოვლენები: ჰიმნი თბილისის შესახებ

4.1 ჰიმნის ზოგადი სტრუქტურა და კრებულში მისი ადგილი იმ ჰიმნთა შორის, რომელთა ავტორობაც ვარდას მიეწერება, ზოგიერთი ისტორიულ მოვლენებს აღწერს. მათგან ორი ყველაზე ცნობილი ჰიმნიდან ერთ-ერთი მუსულმანთა მიერ ახ.წ.1187 წელს⁴ იერუსალიმის აღებას ეხება, მეორე კი - სოფელ კარმლიშის აღებას ახ.წ. 1235 წელს.⁵ ორივე ტექსტი გვხვდება მხოლოდ ბერლინის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ხელნაწერში *Ms. orient. fol. 619*, რომელიც ვარდას კრებულის შემოკლებულ გადამუშავებას წარმოადგენს. ხსენებული ჰიმნები რამდენჯერმე გამოქვეყნდა, ბოლო წლებში კი ყურადღებით იქნა შესწავლილი. კარმლიშის შესახებ *ōnītā* ისტორიკოსებმა შეადარეს ბარ ებროიოსეულ⁶ სირიის ისტორიაში წარმოდგენილ მონაცემებს.

ჰიმნი თბილისის აღების შესახებ, რომელის თარგმანსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, მიეკუთვნება ე.წ. “კატასტროფების” შესახებ ჰიმნებს, ანუ ისეთ ჰიმნებს რომლებშიც აღწერილია ისეთი განსაცდელნი, როგორებიცაა შიმშილობა, გაჭირვების თუ ეპიდემიის წლები, უცხო ტომთა შემოსევები. ამგვარი ტექსტები, გარდა თბილისის აღების შესახებ ჰიმნისა, შესწავლილი აქვს მარტინ ტემკეს.⁷ ვარდას კრებულში ამ ტიპის ჰიმნები წარმოდგენილია ნინევიელთა მიერ მარხვის წინა სამი დღის განმავლობაში აღსასრულებელი ღვთისმსახურებისთვის განკუთვნილ განყოფილებაში.⁸

¹Tamcke 2004. გვ. 203-229.

²Tamcke 2006. გვ. 139-152.

³იქვე, გვ. 139, 140, 142.

⁴Noeldecke 1873; Mengozzi 1910.

⁵Deutsch 1895. გვ. 15-22; Hilgenfeld 1904. გვ. 60-65; Borbone 2010.

⁶ib: Hilgenfeld 1904. გვ. 14, 15; Borbone 2010. გვ. 205. Bar 'Ebrōyō-ს მატეანის რედაქციისათვის იბ. Bedjan 1890. P. 469.

⁷ Tamcke 2006. გვ. 139-140.

⁸Add. 1982, fols.102r-109v; Vat. Syr. 567, fols.88r-98v. In Add.1983 ამ ჯგუფის მხოლოდ ერთი ჰიმნია შესული (fols. 41r-43v).

განსახილველი ჰიმნი შეტანილია მხოლოდ ერთადერთ, კემბრიჯში დაცულ და ჩვენი წელთაღრიცხვით 1550 წლით დათარიღებულ ხელნაწერში **Add.1983**, რომელიც ასევე ვარდას კრებულის შემოკლებულ გადამუშავებას წარმოადგენს. ხელნაწერში არაა შესული “კატასტროფული მოვლენების” ამსახველი ყველა ჰიმნი, რომლებიც სხვა ხელნაწერებში დასტურდება. გარდა ჰიმნისა, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, ოქსფორდში დაცულ ხელნაწერში “კატასტროფული მოვლენების” ჯგუფიდან კიდევ ერთი ჰიმნია შესული, რომელსაც უძღვის წარწერა **ᲕᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗ**. შესაბამისად, ეს ერთადერთი ჰიმნია “კატასტროფული მოვლენებისადმი” მიძღვნილ ჰიმნთაგან, რომელიც ხსენებულ ხელნაწერსა და სხვა ხელნაწერებს აქვთ საერთო¹. საინტერესოა ამ ჰიმნის ადგილიც კრებულშიც: იგი წარმოდგენილია ოთხი მახარებლის მოსახსენიებელ ნაწილში (fol. 41r), და არა ნინევიელთა შესახებ ნაწილში. გამომდინარე იქიდან, რომ “კატასტროფულ მოვლენათა” ამსახველი ჰიმნების ჯგუფი ყველაზე ძველ ხელნაწერში არ გვხვდება, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ისინი კრებულში მოგვიანებით შეიტანეს. ნებისმიერ შემთხვევაში, კრებულის ტექსტობრივი ხასიათიდან გამომდინარე, ხელაღებით არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ჰიმნების ავტორი უთუოდ გივარგის ვარდაა.

4.2 ჰიმნის ისტორიული კონტექსტი

განსაკუთრებით საინტერესოა ჰიმნის ისტორიული კონტექსტი. მასში აღწერილია ახ. წ. 1220-1226 წლებში განვითარებული მოვლენები. ეს ის პერიოდია, როცა ქართველ ხალხს სხვადასხვა ჯურის დამპყრობლები ესხმოდნენ თავს. ხსენებული მოვლენები აღწერილია არაბულ, სპარსულ, სომხურ და ქართულ წყაროებში. შესაბამისად, საკმარისი ინფორმაცია არსებობს, რომელთანაც ჰიმნის შინაარსის შედარება შეიძლება.

ჰიმნში ჩამოთვლილ დამპყრობელთა შორის (სტროფი 4) მოხსენიებულია მრავალი ეროვნება, მათ შორის თათრები, სპარსელები და იდუმალებით მოცული მოგვები (**ᲕᲗᲗᲗᲗ**). თათრები (მონღოლები), საბუდაის (Sübete) მეთაურობით, საქართველოში ახ.წ. 1220 წელს გამოჩნდნენ. მათ თან ახლდნენ თურქები და ქურთები, ადგილობრივი თურქის აქაშის მეთაურობით.² ალბათ ამიტომაცაა, რომ ჰიმნში თურქები არიან მოხსენიებულნი. იბნ ალ-აშირის თანახმად, რომელიც ხსენებულ მოვლენების თანამედროვე იყო, ქართველები ორჯერ შებმიან მონღოლებს და ორჯერვე სასტიკად დამარცხებულან.³ პირველი ბრძოლა მოხდა Zū-l-Qa'da-ს თვეში, ჰიჯრადან 618 წელს (1220 წლის 28 დეკემბრიდან 1221 წლის 26 იანვრამდე). პირველი შეტაკებისას დაღუპულ ქართველთა რაოდენობამ დაახლოებით ათი ათასს მიაღწია,⁴ მეორე შეტაკებისას კი – ოცდაათი ათასს.¹ კირაკოს განძაკელი, რომელიც

¹სხვა ვერსიებში: Add. 1282, fols.108r–109v; Vat. Syr. 567, fols.96v–98v.

²Тизенгаузен 1884. გვ. 15.

³იქვე, გვ.15, 23.

⁴იქვე. გვ. 15; რაშიდ ად-დინი, გამოჩენილი სპარსი ისტორიკოსი და ილხანთა ვაზირი (1298–1317), აგრეთვე რიცხვ ათასს იყენებს ქართული ჯარის რაოდენობის აღსანიშნად (Рашидад-

ადარებს.¹ ამგვარად, ჰიმნის ავტორის მიერ აღწერილი საზარელი მოვლენები (სტროფი 19-46) მხოლოდ პოეტური გაზვიადება როდია. კირაკოს განმაკელი თავის მატთანეში აღწერს ხვარაზმელთა მიერ ეკლესიათა განადგურებას, ჯვრების დამტვრევას, თბილისის მკვიდრ ქალებზე ძალადობას,² და ამასვე იუწყება ჰიმნის ავტორი (სტროფები 26-28, 33-34, 42-43). სხვადასხვა წყაროები ცხადყოფს იმასაც, რომ ჯალალ ედ-დინი მოსახლეობას აიძულებდა, ისლამი მიეღოთ. მათ, ვინც რელიგიის შეცვლაზე უარს აცხადებდა, მდინარე მტკვარზე გადებულ ხიდზე ხოცავდნენ. ამ ხიდს მოგვიანებით *ათი ათასი მოწამის ხიდი* ეწოდა.³

ჰიმნში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაზვიადებული არაა გამანადგურებელი შემოსევის აღწერა (სტროფი 35, 38). ჯალალ ედ-დინის მდივანი აღნიშნავს, რომ “სულთანმა ხელში ჩაიგდო წლების განმავლობაში მოგროვებული საუნჯე. ყველაზე ბრძენი კაციც კი ვერ მოსთვლიდა მის მიერ მოპოვებულ ნადავლს, ნუსხანი არ ეყოფოდა ხვარაზმელთა მიერ მოპოვებული საგამურის ჩამოთვლას”.⁴

ჰიმნში მოხსენიებული მამაცი გმირი შარვა (სტროფი 9-15) შალვა ახალციხელია, ივანე ახალციხელის ძმა. ორივე მათგანი სახელგანთქმული ქართველი მებრძოლი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ შალვა სინამდვილეში გარნთან ბრძოლისას ხვარაზმელებმა შეიპყრეს (ახ. წ. 1225 წელს), და არა მონღოლებმა ჰუნანთან, (ახ. წ. 1221), როგორც ამას ჰიმნი ამტკიცებს (სტროფი 10). ეს ორი თარიღი პოეტურ ტექსტში არეულია. ასევე, ერთმანეთთანაა გაიგივებული ორი სხვადასხვა დამპყრობლის ჯარი. მონღოლები და ხვარაზმელები ერთად იხსენიებიან მისტიურ მოგვთა ძალად. ისტორიული შალვა ხვარაზმელებმა დაატყვევეს და, ან-ნასავის თანახმად, მოკლეს იმ წერილებს გამო, რომლებითაც იგი აფხაზ დიდებულებს ჯალალ ედ-დინის მოსალოდნელი შემოსევის შესახებ აფრთხილებდა.⁵ წერილები ჯალალ ედ-დინის ჯაშუშებმა აღმოაჩინეს. შალვა, სულთნის ბრძანების თანახმად, ორ ნაწილად გასჩხეს მდინარის ნაპირას.⁶ ჯუვანი და რაშიდ ად-დინი არაფერს წერენ ამ წერილების შესახებ. მათ მატთანეთა თანახმად, სულთანი შალვას პატივით მოეპყრო და ეს უკანასკნელიც მას თბილისის აღებაში დახმარებას დაჰპირდა. მაგრამ, საბოლოოდ, მან ჯალალ ედ-დინს უღალატა და ხვარაზმელთა ლაშქრის საფარში შეტყუება სცადა. ჯალალ ედ-დინმა მისი გეგმის შესახებ რომ შეიტყო, “ზე წამოიჭრა, ხმლით ორად გასჩხა ქრისტიანი მებრძოლი და მისი სისხლით წაბილწა თვისი

¹ Буниятов 1986. გვ.169. ორი ცნობილი ქართული მატთანე, კერძოდ “ქართლის ცხოვრება” და “საუკუნის ქრონიკა”, მოგვითხრობს ხსენებული მოვლენების შესახებ. პირველი მათგანი წარმოადგენს ფაქტების ნუსხას და შეიცავს მეორე მატთანესაც, რომელშიც კონკრეტულად მონღოლთა ბატონობის ხანაა აღწერილი (იხ. Tvaradze 2007. გვ. 90-92, 100).

²Киракос 1976. გვ. 150. რაშიდ ად-დინი ასევე აღნიშნავს, რომ ჯალალ ედ-დინმა არაერთი ტაძარი გაანადგურა (Рашидад-Дин 1952. გვ. 243).

³იქვე, გვ. 150; Буниятов 1986. გვ. 169.

⁴Ан-Насави 1973. გვ. 168.

⁵Ibid. გვ. 167.

⁶Ibid. გვ. 167.

იარალი”.¹ მეცამეტე საუკუნის ბოლოსა და მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ამ ორი ავტორისაგან განსხვავებით, ან-ნასავი ხსენებულ მოვლენათა თვითმხილველი იყო, ამიტომაც მის მისი ცნობები მეტად სარწმუნოა. თბილისზე თავდასხმა ხვარაზმელთა ბოლო გალაშქრება არ ყოფილა ქრისტიანთა წინააღმდეგ. ახ. წ. აღ-ის 1244 წელს ხვარაზმელებმა დალაშქრეს სირია, პალესტინა, აიღეს იერუსალიმი და ქრისტიანი მოსახლეობის უმრავლესობა გაწყვიტეს. მათ აგრეთვე გადაწვეს ეკლესიები და წმინდა ნაწილები.²

4.3. ჰიმნის ეპიკური ასპექტი: მუსულმანთა გარდაქმნა მოგვებად

ჰიმნში განსაკუთრებული პათოსითაა აღწერილი ეპიზოდი წერილების შესახებ (სტროფი 12-14). მუსულმანი ხვარაზმელები გარდაქმნილნი არიან მოგვებად, ანუ ზოროასტრიზმის მიმდევრებად და წარმოდგენილნი არიან წარმართებად (სტროფი 12-15), შარვა (შალვა) კი გამოყვანილია წარმართობისაგან ქრისტიანობის დამცველად (სტროფი 12,15). გმირის მოკვლა ჰიმნში აღწერილია, როგორც წარმართული რიტუალი (სტროფი 15). გარდა ამისა, სპარსები (𐬎𐬀𐬎𐬎) დამპყრობელთა შორის იხსენიებიან, თუმცა, როგორც მოგვებისაგან განსხვავებული ერი (სტროფი 4).

ტერმინი *magianism* (𐬎𐬀𐬎𐬎) აგრეთვე აღნიშნავს “ჯადოქრობას, შავი მაგიის აღსრულებას”.³ შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ჰიმნის ტექსტში მონღოლები და ხვარაზმელები ერთმანეთთან იმიტომაცა შერწყმული და მოგვებთან გაიგივებული, რომ ამ პერიოდში მონღოლები შამანიზმს მისდევდნენ. ჯონ ბოილმა სპეციალური სტატია მიუძღვნა ამ პერიოდში თურქმანთა და მონღოლთა დამახასიათებელი რიტუალების შესწავლას.⁴

თუმცა, ცნობილია, რომ მონღოლები XII საუკუნეში უკვე იცნობდნენ ქრისტიანობას. კონკრეტულად კერაიტთა ტომი მთლიანად გაქრისტიანებული იყო მონღოლთა კავკასიასა და ახლო აღმოსვლეთში ლაშქრობებამდე დიდი ხნით ადრე.⁵ მონღოლების იმპერიის პირველი თაობის მმართველი ელიტა (ადრეულ მეცამეტე საუკუნეში) ტრადიციულ მსოფლმხედველობას იზიარებდა, რომელიც სხვადასხვა აღმსარებლობათა შემწყნარებლობას გულისხმობდა.⁶

¹Juvaini 1958. ტ. 2. გვ. 428-429; Рашидад-Дин 1952. გვ. 243. მხოლოდ ეს ორი წყარო ირწმუნება, რომ შალვას ძმა ივანეც დაატყვევეს ხვარაზმელებმა. დანარჩენ მატრიანეთა მიხედვით, ივანე გარნთან ბრძოლაში მოკლეს. სავარაუდოდ, რაშიდ აღ-დინი ამ ფაქტის აღწერისას ჯუვანის მატრიანეს ეყრდნობა (Кикнадзе 1980. გვ. 65).

²Буниятов 1986. გვ. 192.

³Ibid. გვ. 209.

⁴Boyle 1977. გვ. 177-193.

⁵ib: Tamcke 1992. გვ. 137-138; Tamcke 1997. გვ. 28-30; Baum 2012. გვ. 13-15.

⁶ ყველაზე დეტალურად ადრეულ მეცამეტე საუკუნეში რელიგიურ ტენდენციებთან დაკავშირებული პრობლემები აღწერილია მარტინ ტამკეს სტატიაში (Tamcke 1997).

ამიტომაცაა, რომ მეორე შეხედულება მეტად მისაღებია. ტერმინი მოგვები (موجبة), რაც ძირითადად ზოროასტრიზმის მიმდევრებს აღნიშნავს, ასევე იხმარებოდა სპარსების, როგორც ერის აღსანიშნავად,¹ გამომდინარე იქიდან, რომ სასანიანთა ირანის პერიოდში სასანიდები ქრისტიანთა მიერ ზოროასტრიზმთან და მასთან დაკავშირებულ რიტუალებთან ასოცირდებოდნენ. თუმცა, არსად დასტურდება ის, რომ ამ ტერმინს მუსულმანთა აღსანიშნავადაც იყენებდნენ.² არაა გამორიცხული, ხვარაზმელთა სამეფო მისი დედაქალაქით თავრიზში ქრისტიანულ მეზობელ ქვეყნებს სპარსელთა სამხედრო თვალსაზრისით გაძლიერების მაჩვენებლად აღექვათ. სწორედ ეს ტენდენციაა, სავარაუდოდ, ჰიმნში ასახული. სპარსებისა და მოგვების გვერდიგვერდ მოხსენიება დამპყრობელთა სიაში (სტროფი 4) არ გამორიცხავს ზემოხსენებულ მოსაზრებას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ისტორიულ ტექსტთან, რომელშიც ტერმინები პირდაპირი მნიშვნელობით იხმარება, არამედ პოეტურ ტექსტთან. საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა ამ ტიპის ჰიმნებში სინონიმური მნიშვნელობითაა გამოყენებული უერთიერთგამომრიცხავი სიტყვები.

რას შეიძლება გამოეწვია ამგვარი ტრანსფორმაცია? ტერმინი “მოგვები” ავტორმა განზრახ იხმარა თუ არა? იმისათვის, რომ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შევძლოთ, საჭიროა განვსაზღვროთ ჰიმნის შექმნის მიახლოებითი დრო და ადგილი. შესაძლოა, ავტორი მის მიერ აღწერილი მოვლენების თანამედროვედ მიგვეჩნია. თუმცა, მის მიერ მოვლენების ურთიერთალევა და მცდარი ინტერპრეტაცია იმაზე მეტყველებს, რომ ავტორი მის მიერ აღწერილი მოვლენების თვითმხილველი არ ყოფილა და, გარდა ამისა, სავარაუდოდ, იგი მოვლენათა განვითარების ადგილიდანაც საკმაოდ შორს ცხოვრობდა. არაა გამორიცხული, იგი სირიის ან ერაყის მკვიდრი ყოფილიყო. იმ შემთხვევაში, თუ ტერმინ **𐬨𐬀𐬎** -ში ქართველები იგულისხმება (სტროფი 4),³ მაშინ მათი მოხსენიება დამპყრობელთა

¹ **𐬨𐬀𐬎𐬀𐬎𐬀** “The Persian people”; და სხვა მაგალითები (Thesaurus 1879. ტ. 2. გვ. 2008, 2009).

² Thesaurus 1879. ტ. 2. გვ. 2009.

³ თუმცა, ამ ტერმინის მნიშვნელობა საკმაოდ ბუნდოვანია.

J. M. Fiey, თავის წიგნში იყენებს ტერმინ **𐬨𐬀𐬎**-ს, როგორც *ქურთებს* (Fiey 1965. გვ. 153, 216), დაამტკიცებს, რომ **𐬨𐬀𐬎𐬀𐬎𐬀** *le Pays de Kurds* დიაბენას ჩრდილოეთით მდებარეობს. ხსენებული სიტყვა წარმოდგენილია ქურთების მნიშვნელობით ასევე Wörterbuch 2000. გვ. 149.

ეს ტერმინი ასევე გამოყენებულია პატრიარქ იაკობალაჰა მესამისა და რაზან შაუმას ბიოგრაფიებში. რედაქტორმა პიერ ჯორჯო ბორბონემ იგი თარგმნა, როგორც ქურთები (Borbone 2009. გვ. 98, 99, 104, 116, 120, 123, 124, 125, 132, 210). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტექსტი ჰიმნზე მთელი საუკუნით გვიან დაიწერა. თავის სტატიაში ჯ.რ.დრაივერი თავს უყრის სიტყვა ქურთის ყველა მნიშვნელობას. მას პრობლემად არ მიუჩნევია სიტყვაში *k-q* მონაცვლეობა. დრაივერის მიერ წარმოდგენილი სიაში ტერმინებში ორივე თანხმოვანი გვხვდება, მაგრამ არ ადასტურებს ფორმას **𐬨𐬀𐬎** (Driver 1923. გვ. 393–403).

რიცხვში ხსენებულ მოსაზრებას ამყარებს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ტერმინი გულისხმობს იმ ეთნიკურ ჯგუფს, რომელსაც ქართველები მიეკუთვნებიან, ამგვარი ვარაუდისაფუძველს მოკლებული იქნებოდა.

შესაძლებელია, რომ ტერმინის ტექსტში გამოყენება წარმოადგენდეს ერთგარ აღრევას, რაც ამ ჟანრის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს, მაგალითად, ტერმინ მოგვების შემთხვევაში, ავტორს ეს სიტყვა კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის აღსანიშნადკი არ გამოუყენებია, არამედ ქრისტიანთა აღმოსავლელი მტრების აღსანიშნავად.

ჰიმნი კონკრეტულ ისტორიულ მოვლენათა აღწერისას პოეტი ისტორიულ წყაროებს არ ეყრდნობა. ყოველგვარი გარდაქმნა და ცნებებისა აღრევა გასაგები გახდება, თუ მივიჩნევთ, რომ ავტორი განსხვავებული ჟანრის, კონკრეტულად ეპიკურ წყაროს იყენებს. ისიც შესაძლებელია, რომ ჰიმნი მოვლენათა განვითარებიდან გარკვეული დროის შემდეგ დაწერილიყო. ზემოთ აღწერილ მოვლენათა მსგავსი ტრაგიკული მოვლენების შემდეგ ხშირად ჩნდება ლეგენდები ზეპირი ან წერილობითი ფორმით. თბილისის განადგურება იმდენად საზარელი ტრაგედია იყო, რომ ის ხალხის მეხსიერებამ შემოინახა, ისევე, როგორც “ათი ათასი მოწამის” ხიდმა. ისტორიული წყაროებისგან განსხვავებით, “ხალხის მეხსიერება” ზოგჯერ ისტორიულ მოვლენებს განსხვავებულად ასახავს. როგორც ჩანს, *‘ōnītā* ჟანრის დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ ჰიმნები ხშირად სწორედ ამგვარ არაისტორიულ წყაროებს ეყრდნობა. ამას ადასტურებს ისიც, რომ ჰიმნებში წარმოდგენილი მრავალი ეპიზოდი სხვაგან არსად დასტურდება.¹ შალვა ახალციხელი ქართული ლეგენდების ცნობილი გმირია. ამასთან, იგი ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა ათი ათას მოწამესთან ერთად.² აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში, რომლებიც ლეგენდებს ეფუძნება, შალვას შეპყრობის აღწერა ძლიან ჰგავს ჰიმნისეულ აღწერას. შალვა გამოყვანილია მამაც ქრისტიანად, რომლის დაღუპვის მიზეზიც მისი ურყევი რწმენაც გახდა. ტექსტში არსადაა ნახსენები წერილები ან შალვას მიერ მტრისთვის დაგებული ხაფანგი.³

ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთ ექსპერტს მივმართე. სებასტიან ბროკი, რომელმაც ხსენებულ პრობლემასთან დაკავშირებულ ლიტერატურაზე მიმითითა, მიიჩნევს, რომ ტერმინ *ἄστυ*-ის ქურთების მნიშვნელობით გამოყენება გარკვეულ ფონეტიკურ პრობლემებთანაა დაკავშირებული (*k-q, d-t*). პროფესორი ვიტოლდ ვიტაკოვსკი მიიჩნევს, რომ ეს ფორმა ქურთების მნიშვნელობით არ გამოიყენებოდა. მისი აზრით, ხსენებული ტერმინი, სავარაუდოდ, ქართველებს, ანუ ქართლის (საქართველოს) მცხოვრებლებს აღნიშნავს. პროფ. ელენა მესცერსკაია კი ფიქრობს, რომ ხსენებული ტერმინი ვერ იქნებოდა გამოყენებული ტერმინ ქართველების აღსანიშნავად, ვინაიდან იგი ბოლოშიარ შეიცავს თანხმოვან ლ-ს.

¹იხ. მაგალითად, ჰიმნი იოანე ნათლისმცემლის შესახებ (Hilgenfeld 1904. გვ. 65–74); ან ჰიმნი ქრისტეს ბავშვობის შესახებ (Pritula 2005. გვ. 145–176).

²Сабинин 1877. ტ. 3. გვ. 141.

³იქვე. გვ. 146–147.

ამგვარ მოსაზრებას „კატასტროფების ამსახავ“ ჰიმნთა ჯგუფში შემავალი ამყარებს კიდევ ერთი, კერძოდ მეორე ჰიმნი იერუსალიმის აღების შესახებ, რომელიც თ. ნოლდეკემ გამოსცა. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ჰიმნში კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებთან დაკავშირებით მრავალი უზუსტობაა. თეოდორ ნოლდეკეს აზრით, ეს ჰიმნი დაწერა მასში აღწერილი ისტორიული მოვლენიდან დიდი ხნის შემდეგ პიროვნებამ, რომელიც ძირითადად ხალხურ ზეპირ გადმოცემებს ეყრდნობოდა.¹ შეცდომები და ტრანსფორმაციები დეტალურადაა შესწავლილი ალესანდრო მენგოცის სტატიებში, რომელიც ასევე ასკვნის, რომ იერუსალიმის აღების შესახებ ჰიმნის ავტორი ხალხურ ზეპირ ტრადიციას ეყრდნობოდა და სავსებით უგულებელჰყოფდა ისტორიულ წყაროებს.² ისტორიული მოვლენების ამგვარად აღწერის ტრადიციას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.³ თუმცა, *ʿnītā* ჟანრის დამსახურებაა, რომ იგი ქრისტიანული ლიტურგიის ნაწილი გახდა.

ამგვარმა “ისტორიულმა” მეთოდმა შემდგომი განვითარება ჰპოვა ნეო არამეულ პეოზიაში, კონკრეტულად კი ჟანრში *dorekta*. მაგალითად, სტეფან ალკოშელის დორექტა, რომელიც შვიდმარცვლიანი მეტრითაა დაწერილი, ოტომანთა და რუსებს შორის ომს აღწერს ახ.წ.1876-1878 წლებში.⁴ პოეტური თავისებურებებიდან და სინტაქსიდან გამომდინარე, იგი კიდევ უფრო ახლოსაა ზეპირ ტრადიციასთან, ვიდრე *ʿnītā*.⁵

ბიბლიოგრაფია:

Baum 2012 – Baum W. Die Mongolen und das Christentum. In: Caucasus in the Mongol Period – Der Kaukasus in der Mongolenzeit, herausgegeben von Jürgen Tubach, Sophia Vashalomidze, Manfred Zimmer. Wiesbaden, 2012.S. 13-53.

Badger 1852 - Badger G.P. The Nestorians and their Rituals. London, 1852.

Baumstark 1904 – Baumstark A.: review of Hilgenfeld H. *كنايسة مار ياريسا* “Ausgewählte Gesänge des Giwargis Warda von Arbel. Herausgegeben mit Übersetzung, Einleitung und Erklärung. Leipzig, 1904. In: OC, 4 (1904). S. 204-209.

Baumstark 1922 - Baumstark A. Geschichte der syrischen Literatur mit Ausschluß der christlich-palästinensischen Texte. Bonn 1922.

Bedjan 1890 - Ktābā dmaktbānūt zabnē dsīm Imār Grīgōrīyōs Bar ‘Ebrāyā. Gregorii Barhebraei Chronicon syriacum, ed. P. Bedjan. Paris 1890.

Borbone 2009 - Borbone P.G. Storia di Mar Yahballaha e di Rabban Sauma. Cronaca siriana del XIV secolo. Moncalieri 2009.


¹Noeldeke 1873. გვ. 493.

²Mengozzi 2008. გვ. 4–7; Mengozzi 2010.

³ მაგალითისათვის შეიძლება გავიხსენოთ ლეგენდა სინახერიბის შესახებ, რომელიც ქრისტიანობაზე მოქცა და მონასტერი დააარსა (იხ.Takahashi 2010).

⁴Mengozzi 2008. გვ. 6–9.

⁵Mengozzi 2009. გვ. 69–70.

- Borbone 2010 – Borbone P.G. Due Episodi delle Relazioni Mongoli e Siri nel XIII Secolo nella Storiografia e nella Poesia Siriaca. In: EVO, XXXIII (2010). P. 205-228.
- Boyle 1977 – Boyle J.A. Turkish and Mongol Shamanism in the Middle Ages. In: The Mongol World Empire, XXII. London 1977. P. 177-193.
- Bundy 1993 - Bundy D. Interpreter of the Acts of God and Humans: George Warda, Historian and Theologian of the 13th Century. In: The Harp, 6 (1993). P. 7-20.
- Cardahi 1875 - Cardahi G. Liber Thesauri de arte Poetica Syrorum necnon de eorum poetarum vitis et carminibus. Rome, 1875. P. 51-55.
- Deutsch 1895 - Deutsch A. Edition dreier syrischer Leeder nach einer Handchrift der Berliner Königlich Bibliothek. Berlin, 1895.
- Driver 1923 - Driver G.R. The Name Kurd and its Philological Connections. In: Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland. London, 1923. P. 393-403.
- Fiey 1965 - Fiey J.M. Assyrie chrétienne. Contribution à l'étude de l'histoire et de la géographie ecclésiastique et monastique du nord de l'Iraq. Vol. 1-3. Beyrouth, 1965-68.
- Folkmann 1896 - Folkmann J. Ausgewählte Nestorianischen Kirchenlieder über das Martyrium des hl. Georg. Erlangen, 1896. S. 34-50.
- Gignoux 1999 - Gignoux P. Une poème inédit sur l'Homme-Mikrocosme de Giuwarguis Wardā (13ème) siècle. In: Ressembler au monde: Nouveaux documents sur la théorie du macrocosme dans l'antiquité orientale. Turnhout, 1999. P. 95-189.
- Hilgenfeld 1904 - Hilgenfeld H.  "Ausgewählte Gesänge des Giwargis Warda von Arbel. Herausgegeben mit Übersetzung, Einleitung und Erklärung. Leipzig, 1904.
- Juvaini 1958 - Juvaini 'Ala-ad-Din. The History of the World-Conqueror. Manchester, 1958. Vol. 2.
- Kawerau 1955, 1960 – Kawerau P. Die jakobitische Kirche im Zeitalter der syrischen Renaissance: Idee und Wirklichkeit / Berliner byzantinische Arbeiten, 3. Berlin, 1955; 2nd ed., Berlin, 1960.
- Khudra 1960 -  1960.
- Krüger 1933 - Krüger P. Die Regenbitten Aphrems des Syrerers. In: OC, 33 (1933). S. 13-61.
- Leroy 1971 - Leroy J. La Renaissance de l'église syriaque aux XII-XIII siècles. In: Cahiers de civilization médiévale, 14 (1971). P. 131-148, 239-255.
- Mengozzi 2008 – Mengozzi A. Suraye wa-Phrangaye. Late East-Syriac Poetry on Historical Events in Classical Syriac and Sureth". JAAS, 22.1 (2008). P. 3-14.
- Mengozzi 2009 - Mengozzi A. Scrittura e oralità, diasistemi ed archetipi. Riflessioni su edizione e studio di testi aramaici moderni. In: F. Ferrari e M. Bampi (a c. di). Storicità del testo, storicità dell'edizione. Labirinti, 122. Trento, 2009. P. 59-79.
- Mengozzi 2010 – Mengozzi A. A Syriac Hymn on the Crusades from a Warda Collection. In: EVO, XXXII (2010). P. 187-204.
- Noeldecke 1873 - Noeldecke T. Zwei syrische Lieder auf die Einnahme Jerusalems durch Saladin. In: ZDMG, 27, 1873. S. 489-510.
- Pritula 2004 - Pritula A. An Autobiographic Hymn by Givargis Warda. In: Studien zur Orientalischen Kirchengeschichte. Herausgegeben von Martin Tamcke. Syriaca II. Münster, 2004. P. 229-243.

- Tamcke 2006 – Tamcke M. Die islamische Zeit in Giwargis Wardas 'Onita über die Katholikoi des Ostens. In: E. Grypeou et al. (eds.). *The Encounter of Eastern Christianity with Early Islam*. Leiden, 2006. P 139-152.
- Tamcke 2007 – Tamcke M. Vom Dialog, interreligiös, zwei syrische Lieder zur Konversion. In: Idem (ed.). *Christians and Muslims in Dialogue in the Islamic Orient of the Middle Ages: Christlich-muslimische Gespräche im Mittelalter. Beiruter Texte und Studien* herausgegeben vom Orient-Institut Beirut. Beirut, 2007. S. 9-19.
- Tamcke 2008/1- Tamcke M. Heuschrecken, Dürre und Mongolen. Gott und die Katastrophen in der syrischen Literatur', in Vorsehung, Schicksal und göttliche Macht, ed. R. G. Kratz and H. Spieckermann. Goettingen, 2008. P. 241-63.
- Tamcke 2008/2 - Tamcke M. How Giwargis Warda retells biblical texts: Some remarks. In: A. Laato - J. Van Ruiten (eds.). *Rewritten Bible Reconsidered*. Winona Lake, 2008. P. 249-269.
- Tamcke 2010 – Tamcke M. Leben aus den Ursprüngen. Zur Funktion des Lesens und schriftlicher Überlieferung bei Giwargis Warda. In: Herman Teule, Carmen Fotescu Tauwinkl (eds). *The Syriac Renaissance*. Leuven-Paris-Walpole, 2010. P. 53-65.
- Taylor 2010 – Taylor D. 'Your Sweet Saliva is the Living Wine': Drink, Desire and Devotion in the Syriac Wine songs of Khāmīs bar Qardāhē. In: Herman Teule, Carmen Fotescu Tauwinkl (eds). *The Syriac Renaissance*. ECS, 9. Leuven-Paris-Walpole, 2010. P. 31-53.
- Teule 2010 – Teule H. The Syriac Renaissance. In: *The Syriac Renaissance*. ECS 9. Herman Teule, Carmen Fotescu Tauwinkl (eds.). Leuven-Paris-Walpole, 2010. P. 1-31.
- Thesaurus 1879 - *Thesaurus Syriacus auxit digessit exposuit edidit* R. Payne Smith. London, 1879.
- Tvaradze 2007 – Tvaradze A. „Hundertjährige Chronik“ – Georgien in der Mongolenzeit. In: OC, 91 (2007). S. 87-123.
- Vandenhoff 1908 - Vandenhoff B. Vier Geistliche Gedichte in Syrischer und neusyrischer Sprache aus den Berliner Handschriften Sachau 188 und 223 übersetzt und mit Einleitung versehen. In: OC, Hefte 1-2 (1908). Rom-Leipzig. P. 395-452.
- Vellian 1971 – Vellian J. *East Syrian Evening Services*. Kottoyam, 1971.
- Younansardaroud 2010 – Younansardaroud H. 'Abdišō' Bar Brikā's (1318) Book of Paradise: A Literary Renaissance? In: Herman Teule, Carmen Fotescu Tauwinkl (ed.). *The Syriac Renaissance*. ECS, 9. Leuven-Paris-Walpole, 2010. P. 195-205.
- Wörterbuch 2000 - *Deutsch-Aramäisch, Aramäisch-Deutsch* von Sabo Hanna Aziz Balut. Heilbronn, 2000.
- Wright 1901 - Wright W., Cook S.A. A, *Catalogue of the Syriac Manuscripts Preserved in the Library of the University of Cambridge*, Cambridge 1901.
- Ан-Насави 1973 - Ан-Насави Шихаб ад-Дин Мухаммад. *Жизнеописание султана Джалал ад-Дина Манкбурны*. Баку, 1973.
- Баратов 1871 - Баратов С. *История Грузии*. С-Пб., 1871. Ч. 4-5.

- Буниятов 1986 - Буниятов З.М. Государство Хорезмшахов-Ануштегинидов. Москва, 1986.
- Вардан 1861 - Всеобщая история Вардана. Москва, 1861.
- Вильскер 1965 - Вильскер Л.Х. Об утвердительном значении часицы *lā* в сирийском языке //КСИНА, № 86 (1965). С. 25-50.
- История Грузии 1962 - История Грузии. Тбилиси, 1962.
- Кессель 2009 - Кессель Г. Фрагмент из несохранившейся «Книги увещаний» Авраама бар Дашандāда в «Послании о превосходстве Воздержания» Илии Нисивинского / Символ, 55 (2009). С. 271-296.
- Кессель 2010 - Кессель Г. «Книжица крупиц» - антология восточносирийской письменности / Символ, 58 (2010). С. 327-357.
- Кикнадзе 1980 - Кикнадзе Р.К. Очерки по источниковедению истории Грузии. Персадан Горгиджанидзе и Картлис Цховреба. Тбилиси, 1980. С. 65
- Киракос 1976 - Киракос Гандзакечи. История Армении. Москва, 1976.
- Мещерская 1998 - Мещерская Е.Н. Фрагменты сирийской рукописи из собрания Института востоковедения РАН / ППС, вып. 35 (98), 1998. С. 148-159.
- Притула 2006 - Притула А.Д. Из истории восточно-сирийской литургической поэзии: заключительное песнопение моления ниневитян / ВГ, № 12. Москва, 2006. С. 147-159.
- Притула 2007 - Притула А.Д. Песнопение Гиваргиса Варды о гробе / ВГ, № 14. Москва, 2007. С.93-102.
- Притула 2009/1 - Притула А. Д., Гимн о неравенстве в человеческом обществе из восточно-сирийского сборника Варда / Волшебная гора, № 15, 2009. С. 167-178.
- Притула 2009/2 - Притула А. Д., Восточносирийские песнопения ('ониты) и гомилии Нарся: шесть гимнов из сборника «Варда»/ Символ, № 55 (2009). С. 152-253.
- Притула 2010/1 - Притула А. Д., Восточно-сирийский гимн XIII в. о захвате Тифлиса / Византия в контексте мировой культуры. С.-Пб., 2010. С. 481-491.
- Притула 2010/2 - Притула А. Д., Восточносирийский гимн о детстве Христа и прозаические (сиро- и арабоязычные) параллели / Символ, № 58 (2010). С. 229-267.
- Притула 2012/1 - ܦܪܘܬܘܠܐ ܒܪ ܦܪܕܐܐܝܐ, восточносирийский поэт конца XIII в. / Символ, № 61 (2012). С. 303-317.
- Притула 2012/2 - ܦܪܘܬܘܠܐ ܒܪ ܦܪܕܐܐܝܐ (кон. XIII в.) и арбельский литературный круг / ХВ, № 6 (XII), 2012. С-Пб.-М. (в печати).
- Притула 2013 - Притула А. Д. Восточносирийский гимнографический сборник *Вардā* (XII-XVI вв.). Исследование, публикация текстов (в печати).
- Рашид ад-Дин 1952 - Рашид ад-Дин. Сборник летописей. Т. 1, часть 2. Москва, Ленинград, 1952.
- Сабинин 1873 - Сабинин М. Полное жизнеописание святых Грузинской Церкви. С-Пб., 1873. Т. 3. С. 141.
- Селезнев 2001 - Селезнев Н.Н. Ассирийская Церковь Востока. Исторический очерк. М., 2001.

Тизенгаузен 1884 - Тизенгаузен В. Сборника материалов, относящихся к Золотой Орде. Т. 1. Извлечения из сочинений арабских. С-Петербург, 1884. С. 15.

Толстолуженко 2009 – Толстолуженко М. «Книга сокровищ» Иакова бар Шаккō: богословская компиляция эпохи Сирийского Ренессанса / Символ, № 55 (2009). С. 357-374.